მუშაობლო, დედის ენაზე, არ გაიცვლებინ „სხვაზედა“.

ზეიმი

1991
აგვისტო
13
ხუთშაბათი
№83 (10476)
ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული საოლქთაშორისო-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლიდან 1 მარტიდან

ჯიხაოგა—მომავლის ზეიმი

ჯიხა... ააშენა ქართველმა კაცმა სიმტკიცისა და შეუვალობის სიმბოლოდ... მრავალი ჯიხა დგას დღეს საქართველოში როგორც ქართველთა ერთიანობის ძეგლი.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების ზუგდიდის განყოფილების ინიციატივით ჩვენს რაიონში სრულიად საქართველოს ეზეიმა ჯიხაობა. ზეიმზე სტუმრად ჩამოვიდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი ირაკლი ჩხეიძე, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აღმასრულებელი მდივანი დავით მარღანია, საბჭოს წევრები ზურაბ მაისურაძე, გოგი ქერქაძე.

სტუმრებს სოფელ ცაიშში დახვდნენ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების ზუგდიდის განყოფილების წევრები. ამაყად ფრიალებდა საქართველოს ეროვნული დროშა. ავტომობილების ექსკორტი ქალაქისაკენ მოემართება. დავით აღმაშენებლის ქუჩიდან სტუმრებს გორგასლიან-დავითიან-თამარიანი დროშით წინ წარუძღვა ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ცხენოსანთა ჯგუფი. პროცესია დადიანების კარის ეკლესიისაკენ გაემართა, აქ ჩატარდა უძველესი ქართული დროშის კურთხევა. მზე ქათქათა ეკლესიის თავზე აციხუნებდა, ნათელს ჰფენდა დიდებულ დღე სასწაულს. უამრავი ხალხი იყო ეკლესიაში, მის ეზოში. ჩუმი ლოცვები, სანთლების ნელი ლიცლიცი ურუანტელს ჰგვრის დამსწრეთ... ეკლესიის ეზოში ისმის საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი, რომელსაც ასრულებს ხალხური სიმღერის ანსამბლი „ჩელა“. მამა მიქაელ ასათიანი აკურთხებს უძველეს სამეფო დროშას და ლოცავს მრევლს. შემდეგ, საზეიმო ცერემონიალის მონაწილენი ცხენოსნები, ჩოხოსნები, სტუმრები წრეს დაარტყეამენ ქალაქის მოედანთან.

რამდენიმე საათის შემდეგ იწყება ზეიმის ცენტრალური ნაწილი. სტუმარ-მასპინძლებს ჯიხას კარიბჭესთან ელოდებიან ჯიხაშკარელები, აქ დილიდანვე შეკრებილა ხალხი.

ცამდე აზიდული ჯიხას ციხე ამაყად გადმოყურებს მთელს სამეგრელოს. საუკუნოვან ნანგრევებზე წინაპართა აჩრდილები ცოცხლდებიან, „მათი შთამომავლების ამაყი მიმოხვრა კი თითქოს ამრთელებს კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის.

... ციხის დასავლეთ ნაწილში გაკეთებულია ავანსცენა, შეხვედრას ხსნის ღონისძიების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე გიორგი ტყემუჩავა. იგი საუბრობს ზეიმის სიმბოლურ დანიშნულებაზე. ჯიხაობა ეს ძველ საქართველოსა და მის ნათელ მერმისს შორის გადებული ხიდია,—ამბობს იგი,—ეს სიმტკიცისა და უსაფრთხოების სიმბოლო სწორედ დღევანდელობით იშიფრება. დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება სიმტკიცე, ერთიანობა და უსაფრთხოება, შემდეგ ჯიხას კოშკზე სახელდახელოდ აღიმართა გორგასლიან—დავითიან — თამარიანი დროშა. ამაყად ფრიალებდა კოშკის თავზე ქართული დროშა.

სიტყვით გამოდის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე ზურაბ მაისურაძე, რომელიც საუბრობს ჯიხაობის, როგორც პოლიტიკური აქტის როლსა და დანიშნულებაზე.

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრ-ისტორიული მუზეუმის თანამშრომელმა დამსწრე საზოგადოებას მოაგონა ჯიხას ისტორიის ზოგიერთი დეტალები.

ჭ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტმა ბატონმა ხამაზ ყორყოლიანმა შეკრებილთ მიულოცა დღესასწაული და კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას ზეიმის დანიშნულება.

შეკრებილნი მიესალმნენ სტუმრებს თბილისიდან, სოხუმიდან, სენაკიდან, აბაშიდან, ხობიდან, წალენჯიხიდან, ჩხოროწყუდან, ფოთიდან, გალიდან.

მოსწავლემ ნათია ერემაძემ წაიკითხა ჯიხასადმი მიძღვნილი ლექსები. ზეიმს დაესწრო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების თითქმის 120-მდე კაცი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები.

ზეიმი გვიანობამდე გაგრძელდა, ჩატარდა კიდევ ერთი ბრწყინვალე დღესასწაული ჯიხაობა. ამით ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს კუთხეში, ამიერიდან ჯიხაობა იქნება ჩვენი აღორძინებისა და მზეობის შესანიშნავი ფურცელი.

ვახტანგ საყვარელიძე

14 ივლისი—ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე

თანამედროვე მითი მზეზე

უძველესი დროიდან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ტომები გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას მზის ღვთაებისადმი. „მზე დედაა ჩემი“—საუკუნეების მანძილზე ამბობდა ქართველი კაცი.

გენიალურმა რუსთაველმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ამ ხატებას და მის მრავალფეროვან გააზრებას. ამ ტრადიციის გაგრძელებელია დ. გურამიშვილიც. შემდგომში ეს მიმართულება განავითარეს ქართველმა მწერლებმა. თანამედროვე ლიტერატურაში ნ. დუმბაძის შემოქმედება ძალზე საინტერესოა მზესთან მიმართებაში.

ნ. დუმბაძისთან მზე მრავალნაირ ასპექტშია ნაჩვენები. მზეს აქ განსაკუთრებული ალეგორიულ-სიმბოლური და ფილოსოფიური ფუნქცია აკისრია. ერთ-ერთი ასეთი სახეა „მზიანი ღამე“.

დიონისე არეოპაგელის თვალსაზრისით, „ღმერთი არის ნათელი, ოღონდ ჩვენთვის უცნობი ნათელი, რომელიც ჩვენთვის უხილავი და მიუწვდომელია. ჩვენთვის იგი ბნელია, წყვდიადია. იგი ჩვენთვის არის ღამე, რადგან მისი მზერა შეუძლებელია. ეს წყვდიადი ღამე ბრწყინავს უდიდესი ნათელით, რომელიც ისე ძლიერ კაშკაშებს, რომ ჩვენ თვალს გვჭრის და დანახვის საშუალებას გვისპობს. ეს წყვდიადი არის უფრო მანათობელი, ვიდრე ნათელი, ამიტომ ვრწმუნდებით, რომ ის არის ყოველი ცნობის მიღმა. აი ეს არის მზიანი ღამე, ხოლო ხილული მზე არის მისი ხატი. ეს წყვდიადი არის ნათელი უხილავი, ის არის ღმერთი ანუ მზიანი ღამე, ხოლო მისი ხატია მზე, რომელსაც ვხედავთ მაშასადამე, დიონისე არეოპაგელის ახსნით „მზიანი ღამე“ არის ღმერთი, რომლის ხილვაც შეუძლებელია ზებუნებრივი სიკაშკაშის გამო.

შეეძლო ნ. დუმბაძეს ეხმარა ტერმინი „მზიანი ღამე“?—ამ კითხვაზე პასუხს იძლევა პროფ. ტ. კვანჭილაშვილი: „თუ მწერალი ღმერთად სიკეთეს და ყოველივე ნათელს, საუკეთესოს მიიჩნევს, მაშინ ეს შესაძლებლად მოსჩანს“.

დუმბაძის შემოქმედება მთლიანობაში ადამიანისა და მზის საგალობელია. მზე სინათლის, სიკეთის, სიყვარულის, საერთოდ ყოველივე ამაღლებულის უმთავრესი შემოქმედია. ამის დამაჯერებელი მაგალითია მოთხრობა —ჰიმნი „მზე“. დიდებულია „მზე—შემოქმედი“, დიდებულია იგი თავისი სიამაყით, როცა აცხადებს მე ვარო ყველაფერი, ყოვლისშემძლე და მარადიული:

—მაინც რა არის მზიანი ღამე?

—ჩააცივდა მილიციელი.

—ღმერთი!

—თან მზე და თან ღამე?

—ჰო, და იმდენად ნათელია, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თვალისათვის, ამიტომ არის მზიანი ღამე!—აუხსნა მღვდელმა“.

მზის შემყურე მილიციელი კი ათრთოლებული ხმით იტყვის: „მზე გაშავდა“.

ამ დიალოგში ნაჩვენებია „მზიანი ღამის“ ავტორისეული გაგება, რომელიც ემთხვევა არეოპაგელისეულ განსაზღვრებას.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

წერილები ოდიშიდან

წინაა უგანრიგო ბრიგადა

ნაყოფიერად მუშაობენ ოდიშის კოლმეურნეობის მექანიზაციის უგანრიგო ბრიგადის წევრები, რომელთაც ლუსიანე სართანია ხელმძღვანელობს.

ბრიგადა 8 მეჩაიეს აერთიანებს. მანქანა „საქართველოს“ საპეს მართავენ მექანიზატორები ველოდ შარაშია და თენგიზ ქობალია. მათ ეხმარებიან ხელით მკრეფავები გონელ და ემირ სართანიები, ნოდარ და ჯუმბერ ბულიები, ეორეი ფარცვანია და ჯანიკო ქობალია.

როგორც მთავარმა აგრონომმა ფელიქს ხარებავამ განაცხადა წელს ბრიგადის წევრებმ 114 ტონა ნედლეულისათვის იბრძვიან, მათ ვადამდე გაანაღდეს მაისიანისის დავალება. გეგმიური 45 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 45,3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩაის კრეფა წარმატებით გრძელდება. ბრიგადის წევრები წლიური გეგმის შესრულებას 20 სექტემბრისათვის ითვალისწინებენ.

მოიჯარე მესიმინდეთა სიტყვა

მარცვლეული კულტურების წარმოებას ყოველწლიურად ზრდიან ოდიშის კოლმეურნეობის წევრები.

ტრადიცია გრძელდება. წელს 53 ჰექტარზე დაითესა სიმინდი სამარცვლედ, რომელიც სანიმუშოდაა მოვლილი.

კოლმეურნეები ღუღუნ ქობალია, დამიანე კვიტატიანი, პენსიონერი პედაგოგი გუძუბა სვირავა და სხვები გაბიროვნებულ ნაკვეთებზე მარცვლეულის უხვ მოსავალს მოელიან.

53 ჰექტარის თითოეულიდან 40 ცენტნერ მარცვალს მივიღებთ —მტკიცედ აცხადებენ მოიჯარე მესიმინდეები და გვჯერა მათი სიტყვა. დასასრულს უახლოვდება მარცვლეული კულტურების მეორედ გათოხნა.

ბ. თორია.

აქტუალური ინტერვიუ

მიმდინარე წლის 23 აპრილს გამართულ მორიგ სესიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნულ გვარდიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დროებითი დებულება“. თუ რას ნიშნავს ამ დადგენილების მიღება დღეს საქართველოსათვის, ეჰვგარეშეა, რომ ყველას კარგად გვესმის სრული და რეალური დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მოსაპოვებელია და საქართველოს შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება რეალური სუვერენიტეტის ერთერთი სწორი და ზუსტი ბარომეტრი იქნება.

გვესაუბრება ზუგდიდის პრეფექტურასთან არსებული შინაგანი ჯარების—ეროვნულ გვარდიაში გამწვევი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ზვიად კიტია.

როგორ მიმდინარეობს გაწვევა ეროვნულ გვარდიაში?

—საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში—ეროვნულ გვარდიაში გაწვევის წესის დროებით დებულებაში განსაზღვრულია შეღავათი დედისერთა შვილებისათვის. ვინ ითვლება დედისერთა შვილად?

—თუ ოჯახში წვევამდელი ბიჭის ერთი ვაჟი ჰყავთ, იგი ჩაითვლება დედისერთად. შეიძლება ოჯახში იყოს და ან დები, მაგრამ თუ ოჯახს არა ჰყავს ერთ ვაჟზე მეტი, იგი მაინც დედისერთად ითვლება.

—არის თუ არა გაწვევა საქართველოდან საბჭოთა არმიის რიგებში?

—პიროვნება, რომელიც განცხადებით მიმართავს სამხედრო კომისარიატებს საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის შესახებ, გიგზავნება საკავშირო შეიარაღებული ძალების რიგებში.

—რა ელით იმ წვევამდელებს, რომელთაც საერთოდ არ სურთ იმსახურონ არც საბჭოთა არმიის რიგებში და არც შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის რიგებში?

—ჯერჯერობით სამოქმედო კანონი ასეთი კატეგორიის წვევამდელთა მიმართ არ არსებობს. ჩვენ ველოდებით ამ კანონის მიღებას. ამჯერად კი იმ წვევამდელთა სახელობით სიებს, რომლებიც გაურბიან სამხედრო სამსახურს, ჩვენ უბრალოდ გადავცემთ სამხედრო კომისარიატებს, რათა ისინი აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე და იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ იმსახურონ შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის რიგებში, სამხედრო კომისარიატებს შეუძლიათ გაიწვიონ ისინი საკავშირო შეიარაღებული ძალებში.

—ან გაიწვევს საქართველოდან წვევამდელებს? როგორია თქვენთან დაკავშირებით სამხედრო კომისარიატის პოზიცია?

—გაწვევას აწარმოებს ყველა რაიონში პრეფექტურასთან არსებული გამწვევი კომისიები. უნდა გითხრათ, რომ სამხედრო კომისარიატები, მართალია, ისინი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მაგრამ ოპერატიულად გვიჭერენ მხარს გაწვევის საკითხებთან დაკავშირებით, ასეთია ზუგდიდის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის პოზიცია.

—თუ შეიძლება გვითხარით ორიოდე სიტყვით წვევამდელთა გასაწვევი ვადების შესახებ.

—მინდა აღვნიშნო, რომ გასაწვევი ვადები ამჯერად ზუსტად არ არის განსაზღვრული, რადგან იგი რეგულარულად იცვლება იმისდა მიხედვით თუ როგორ შეძლებენ წვევამდელთა მიღებას. ეროვნული გვარდია ახლა ყალიბდება და ამიტომაც მისი მოქმედების მექანიზმი ჯერჯერობით არ არის ზუსტად აწყობილი. ჩვენ ველოდებით მთავრობის დადგენილებას ახალი ვადების შესახებ.

—ფაქტია, რომ გაწვევის პირველი ეტაპი დამთავრდა. ალბათ უკვე გაკეთდა მისი შედეგების ანალიზი. რას გვეტყვით ამის შესახებ?

—როდესაც პირველად დაიწყო ეროვნულ გვარდიაში გაწვევა, ჩვენ ძალიან დიდ ენთუზიაზმს მოველოდით და არ გვეგონა, რომ გაწვევასთან დაკავშირებით გვექნებოდა დიდი სირთულეები. დღესაც ბევრი გვყავს ისეთი წვევამდელი, რომელიც საერთოდ არ გამოცხადებულა ჩვენთან. ჩვენ მათ იურიდიულად ვერ ვსჯით, რადგან არ გაგვაჩნია რესპუბლიკური კანონი ასეთი ახალგაზრდების მიმართ. ჩვენ ვაპირებთ ადგილობრივი გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნოთ იმ წვევამდელთა სახელობითი სიები, რომლებიც საერთოდ, მიუხედავად რამდენიმეჯერ გაფრთხილებისა შეგნებულად არ გამოცხადდნენ გამწვევ კომისიაზე.

მეტიც, რაოდენ საწყენი და გულსატკენია, რომ ჩვენი ქალაქისა და რაიონის მკვიდრნი აშკარად გაურბიან საკალდებულო სამხედრო სამსახურს, ასე მოხდა ქალაქ გორის სამხედრო ნაწილში, სადაც 18 ზუგდიდელმა ჭიბუკმა დემონსტრაციულად დატოვა სამხედრო ნაწილის ტერიტორია. დღევანდელ პირობებში მათი ასეთი საქციელი ღალატის ტოლფასია.

—რაც კეთდებოდა სამხედრო კომისარიატების მიერ უნდა შეასრულონ გამწვევმა კომისიებმა და სამხედრო სექტორებმა. ხომ არ არის ეს საბჭოური კომისარიატების ალტერნატივა?

—ფაქტიურად ეს გამწვევი კომისიები არის ახალი ქართული სამხედრო კომისარიატების პირიმში, მაგრამ მერმის ისინი მთლიანად მიიღებენ ეროვნული სამხედრო კომისარიატების სახეს და საშემსრულებლო ფუნქციებს.

—ჩვენ ვიცით არაერთი ფაქტი იმისა, რომ ბევრი ორგანიზაცია ეროვნული გვარდიას დახმარებას უწევს ტექნიკით, ტრანსპორტით, ფინანსებით, როგორია ამ მხრივ თქვენთან მდგომარეობა?

—ამ მხრივ ჩვენთან ძალიან ცუდი მდგომარეობაა. არის ქალაქის აღტოსაწარმოო გაერთიანება, რომელიც მეტ-ნაკლებად გვეხმარება სატრანსპორტო საშუალებებით წვევამდელთა გადაყვანაში. დასასრულს გაზეთ „ოდიშის“ საშუალებით მინდა მივმართო ზუგდიდში განლაგებულ საწარმოო დანესებულებათა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ გულთან ახლოს მიიტანონ ჩვენი კომისიის ბედიღბალი და საჭიროების შემთხვევაში მინიმალურად მაინც დააკმაყოფილონ ჩვენი თხოვნა.

ესაუბრა ჟურნალისტი
თამაზ როგავა.

მინაწერი: წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ქ. ზუგდიდის საკრებულოს პირველი მოწვევის მეორე სესიამ ზვიად კიტია აირჩია ქალაქისა და რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ.

კალისტრატე სალიას ერთი წერილის გამო

კალისტრატე სალია იყო ორესტი ქირიას თანამერხელი. ისინი ბავშვობიდან ერთად სწავლობდნენ, გამორჩეული მეგობრობა ჰქონდათ და სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტიათ კავშირი. ბატონი კალისტრატე დაუცხრომელი შრომისმოყვარეობითა და ინტელექტით მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი გახდა. მაგრამ ქართველი კაცის ბედის უკუღმართობამ, ისევ ადამიანის მიერ მოგონილმა ავადსახსენებელმა „პოლიტიკამ“ ის საქართველოდან შორს, საფრანგეთში გადაისროლა და იქ იღვწოდა ქართული კულტურის აღმავლობისათვის. ორესტი ქირია კი აქ, თავის სამშობლოში, უხმაუროდ და მოკრძალებით ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს. როცა მისი სადისერტაციო პედაგოგიური ხაზრომი დაუპირისპირდა ოპონენტის, პროფესორის კონსერვატიულ შეხედულებას, პირველად იგრძნო უსამართლობის კლანჭები. შებრძოლებამ შედეგი არ გამოიღო და გააგრძელა პედაგოგიური მოღვაწეობა ჯერ ზუგდიდის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ განათლების განყოფილებაში. უსაზღვროდ უყვარდათ იგი თავის მოსწავლეებს, რადგანაც თვითონაც მათი მოსიყვარულე იყო, არაფერს იშურებდა ახალგაზრდობის ცოდნის ამაღლებისათვის.

ორესტი ქირიას პირად არქივში აღმოჩნდა ბატონ კალისტრატე სალიას ერთი წერილი, გამოგზავნილი პარიზიდან 1978 წელს. მარათი ასე იწყება: „ძვირფასო ძმაო ორესტი. ვერ წარმოიდგენთ როგორ გამახარა თქვენმა წერილმა. გამახსენდა ჩვენი ახალგაზრდობა, მეგობრობა. ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ ზუგდიდი, ჩვენი სასწავლებელი, თქვენ ყოველთვის კოხტად ჩაცმული“.

ამ წერილის დაწერამდე ბატონ კალისტრატეს 55 წელზე მეტი გაუტარებია უცხოეთში, მაგრამ მის ქართულ მეტყველებას და პართლწერას შენარჩუნებული აქვს ეროვნული სიდიადე. კითხულობ და გიხარია, რომ გაუტეხელი ქართველი და მოუხელთებელი ქართული სული მტკიცედ დგას ორივე ფეხზე და ემსახურება შორეულ პარიზში საქართველოს ისტორიასა და კულტურას. ორივე ქართველი მაშინ 77 წლისა იყო, მაგრამ დიდი ენერგიითა და მომავლის იმედით რწმენას უნერგავდნენ გარშემო მყოფთ.

ბატონი კალისტრატე წერილში იგონებს სკოლის ამხანაგებს: თომა ლუკავას, ვარლამ სოტკილავას, გალაქტიონ ქობალიას...“ „ფიფია ცოტა ჩასუქებული იყო, სახელს ვერ ვიგონებ, ხშირად დასერილნობდა ზუგდიდის ბულვარზე, მახსოვს შონიაც...“ დიდი მეცნიერის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხეტარხსენებულ ილია ვეკუას. ხშირად ჩადიოდა მათთან. „უკანასკნელად რომ გვინახულა, ვკითხულობთ წერილში,—მილი ჰქონდა ყელში, ძლივს ლაპარაკობდა. საშინლად დაგვწყვიტა გული ძმამ სიკვდილმა. დიდი ქართველი იყო“.

ბატონ კალისტრატეს ერთი წელი უმუშავნია ხალენჯიხაში მასწავლებლად. იგონებს „იცით ვინ იყო ინსპექტორი? ვანო ოსიძე, გახსოვთ ალბათ, ზუგდიდში ჩვენი ძასწავლებელი იყო“.

წერილში მიუთითებს, რომ ორი წელი უსწავლია თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. შემდეგ წერს: „1922 წლის დამლევს მოგვიხდა გერმანიაში წასვლა, იქ განვაგრძე უნივერსიტეტში სწავლა, მაგრამ დიდხანს ვერ დავრჩი. (ერთნახევარი წელიწადი) საცხოვრებელი საშუალება არ მქონდა არც სამუშაო იშოვებოდა მაშინ გერმანიაში და 1924 წლიდან საფრანგეთში ვარ, პარიზში“...

„სოფ. ჭგალეი, სადაც დავიბადე, ჩემი უმცროსი ძმა ცხოვრობს. კარგი შვილები ყავს. უფროსი ვაჟი რევაზი—სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს. მალე პროფესორი გახდება. თბილისში ბევრი მეგობარი გვყავს—ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ელენე მეტრეველი, ილია ტაბაღუა, აგრეთვე უფროსი იეგოლრები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ალექსახდრე ბარამიძე, შალვა ამირანაშვილი და ბევრი სხვა მწერლები, პოეტები.

ბოდიკითხე თქვენი ოჯახი, აგრეთვე თომა ლუკავა, ვარლამ სოტკილავა, თედორე ფვანია, გალაქტიონ ქობალია—ყველას გეხვევით დიდი სიყვარულით“.

როგორც წერილიდან ჩანს, ბატონ კალისტრატე სალიას სულიერი კავშირი არ გაუწყვეტია საქართველოსთან და ქართველ ინტელიგენციასთან. ძას სწორედ სამშობლოზე ფიქრი და ოცნება აძლევდა უსაზღვრო ძალას და ენერგიას თავის შეუღლებასთან—ქალბატონ ნინოსთან ერთად გაწოეცა ქართველოლოგიური სქელტანიანი ჟურნალი „ბედი ქართლისა“ ამ ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა ქართველოლოგიით დაინტერესებული მეცხიერები იტალიიდან, ამერიკიდან იტალიიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან.

ქართველმა ერმა ღირსეულად შეაფასა უკვდავი ძაწულიშვილის, დიდი ქართველის დამსახურება. სიკვდილის შემდეგ მადლიერმა ქართველმა ხალხმა მისი ნეშტი ჩამოასვენა თბილისში და მუდმივი ადგილსაძყოფელი ძიუჩინა დიდუბის პანთეონში.

ბატონ კალისტრატე სალიას სახელი და მეცნიერული მემკვიდრეობა უკვდავია. მისი ცხოვრება და ეროვნული მემკვიდრეობა ძარადეკამ გზას გაუნათებს ქართველ ახალგაზრდობას.

შოთა სარია.

თანამედროვე მითი მზეზე

(დასასრული)

მზის მხატვრული სახის ღვთაებრივი გაგაზრების პრობლემა დუმბაძის ნაწარმოებში მრავლადაა მოფენილი. მზე აქ მეტაფორაცაა, სიმბოლოც, პერსონაჟიც. მზის ფილოსოფიური აღქმისათვის აუცილებელია ბიბლიური წიაღსელები: მზე, როგორც კოსმიური მაშტაბის სიკეთე, შეალამისას მზის ხილვა—ღმერთის ხილვა, მზის გარდაცვალება—სიკეთის კვდომა. აქ პარალელის გავლება შეიძლება გალაკტიონის ნაცნობ სტრიქონებთან „მას გახელილი დარჩა თვალები“. (ეს საინტერესო პარალელი ეკუთვნის ქალბატონ ლ. სორდიას).

დუმბაძის შემოქმედება საინტერესოა მითოლოგიური და ბიბლიური თემების თანამედროვე ინტერპრეტაციით, მაგრამ ეს თემა მრავლისმომცველ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

ნ. დუმბაძის მზიანი, სინათლით სავსე შემოქმედება ახლობელია ჩვენთვის და ეს წერილიც მისდამი დიდი ინტერესითა და პატივისცემითაა გამოწვეული. 14 ივლისი მწერლის დაბადების დღეა და ამ დღეს მის სიკეთესა და სითბოს მონატრული მკითხველი დიდი სიყვარულით იხსენებს საყვარელ მწერალს.

ლ. ჩხეტია,
მ. კოსტავას სახელობის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტის ბლოკნოტიდან

ანუ

ღია წერილი ჩემს თანამშრომელს

ისევ დადგა ზაფხული. მკათათვე თაკარა. ისევ გელოდება შენი ეზო აბალაბებული, შენგან მივიწყებული შენს ხელს მოკლებული, შენს ხმას მონატრებული ისევ გელოდება დედა იმქვეყნად პა და პა წამსვლელი.

დიდი ხნის წინათ არასოდეს გიფიქრია, რა იქნება მერე. ასეა ბავშვობაში, როცა ყველაფერს ვერ არქმევ თავის სახელს. როცა ხან უფლისწული ხარ და ხან მათხოვარი, ხან სიზმარა და ხან ალამფორა, ხანაც ბურატინო და ხანაც ტომ სოიერი. როცა ურთის მთები მართლაც ჭინკების სახლი გგონია, კუჩხლობონის ღელე ჯადოქრების! საცეკვაო ადგილი? უჩაშონის, ბილიკები კი „ტუაშმაფებითა“ და „ოჩოკოჩებით“ სავსე.

ახლა ცხოვრება დადუღდა. შენც უფრო დაბრძენდი. საუკუნის მეოთხედი ხომ საკმაოდ დიდი დრო უკან მოსახედად და გავლილის შესაფასებლად. ახლა მართლაც დაარქვი ყველაფერს თავისი სახელი. კაცობას კაცობა უწოდე, არაკაცობას —არაკაცობა, სიკეთეს —სიკეთე, ღალატს —ღალატი, ერთგულებას—ერთგულება და სიყვარულს სიყვარული.

მაგრამ...

მაგრამ, შენი სოფელი დაგვიწყდა, ო, არა. წამომცდა დაგვიწყდა-მეთქი. როგორ შეიძლება არ გახსოვდეს შენი სა თავე, შენი ათვლის წერტილი. ხაიდანაც იწყება, ხაიდანაც მოდიხარ. უბრალოდ იმ უკულმართმა ცხოვრებამ გაგიტეხა გული, რა ცხოვრებითაც ხამოცდაათი წელი იცხოვრა შენმა სოფელმა და არა მარტო შენმა სოფელმა, ჩვენმა ხამშობლომ, ჩვენ ყველამ. ჩვენ ისევ გავიზარდეთ ბიბლია არ გადაგვშლია ყველა წიგნზე დიდი წიგნი. ჩვენ ხვანაირად გაზრდილები ახლა სულ სხვანაირ ცხოვრებას ვიწყებთ. ცხოვრებას კი არა, ცხოვრების სწავლას ჯერ. შენი საყვარელი მწერლის სიტყვებსაც მოგაგონებ: „ვისაც ხაყრმეში არ გაუხარონია, ვისაც ბავშვობაში სიკეთეც წამოსწვდია. ხოლო სიკეთეში შეაკაცობის ტვირთი, მას მარადჟამს თან დაყყება გაცდენილი ხაყრმისა და სიბავშვის დარდი ახეთნი მუდამ მკარგავენ წონასწორობას და ყოველთვის იმის ცდაში არიან, გვიან მაინც შეივსონ ეს დანაკლისი როგორმე“. კი გული გვტაკვა იმ წარსულზე, იმ ყოვეთ გაუმხელელზე. ნოცნებარზე, მაგრამ რა ვქნათ, ასე დაგვეფერდა. ისე იყო ერთმანეთში გადახლართული წათელი და ბნელი, მათი გარჩევაც გვიჭირდა ბოლოს მაინც ხომ ვიმოვკეთ გეშმარიტება, ხომ გავიგეთ ხი მართლე, სიმართლე, რომელიც ასე მოგვწყურებია, რომელსაც თურმე ოდუმალ ჩვენც ვეძებდით.

იქნებ არც არის საჭირო ახლა რასაც გეუბნები. იქნებ არც არის ჩემი საქმე ამის ძიება, რა, როგორ, რატომ და რისთვის მოხდა. დრო ხომ ყველაფერს საუკეთესოდ განსჯის და დაგვანახებს.

მე მხოლოდ ორიოდე სიტყვა მინდა გითხრა ამ წერილით, სულ ორიოდე სიტყვა. მისი უთქმელობა რაზდენი ხანია არ მასვენებს. გახსოვს რომ ამბობდი, ჩემი სოფლისთანა სოფელი ქვეყანაზე არ არის. შენ რომ დიდი ეურნალისტი გამოხვალ, აუცილებლად ჩვენს სოფელზე უნდა დაწერო, შველა უნდა. მიხედვა უნდა მასო.

მას შემდეგ ბევრი წელიწადი მობრუნდა ქვეყნის ცარგვალზე. არა, დიდ ჟურნალისტობაზე არ ვდებ დღეს მე თავს. არც სოფლის ს ტკივარზე საუბრით მოგაწყენ. შენ რომ დაადალატე ადგილის დედას ამაზე ვწერ, შენ რომ მოკვეთე ფეხი აქედან, შენ რომ შეაქცევ მას ზურგი.

დღეს თითქოს წერტილს დაუსვამ ყოველივეს. პირობას დადებ, რომ ხვალიდან გამოიცვლები, პირობას დადებ, „რომ შენ აუხელ თვალს ყველა ხატიას, შენ გაანათებ ყველა მზიან ღამეს, შენ ანუგეშებ ყველა დედას. შენ დაამრუნებ სოფლად ქალაქში გაქცეულ ყველა მშრომელს. შენ გასტეხ ყველა ყამირს და ჩაყრი მიწაში მაცოცხლებელ ვაზს“...

ეს დღეს მხოლოდ.

ხვალ...

ხვალ კვლავ ფიქრობ, ჭოჭმანობ, რადაცას წონი, ზომავ. კვლავ დუმილს და არდამრუნებას ამჯობინებ.

რა ლამაზია ეს საქართველო. თავადაც რა ლამაზი ხარ, როცა მას პატრონობ, როცა მის თვალწინ ხანახებს, ყანებს, წყაროებს, როცა მის დილას, მის ღამეს მტერს არ დაანებებ, როცა წინაპართა ნალოლიავებ ქვებს მტვერს წაიცლი, უწამლებ. როცა მარტო პროსპექტებზე კი არა, ბილიკებზეც გიივლი, შუკებშიც შეიხედავ. როცა შენი საკუთარი ბავშვობა მუდამ შენთან არის, მუდამ თან გახლავს. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გიიარე, რაა მაბული?“—არც ეს სიტყვები გესწავლება ჩემგან.

მე მახსოვს გიორგობისთვის ის ცივი საღამოები დედაქალაქში, აბობოკრებული ზღვა ხალხი. მახსოვს ის აპრილი, აქოჩრილი ნარიყალა, სიონი და ქაშუეთი, შენც მახსოვხარ. მხრებშემართული, თავაწეული მიმავალი დემონსტრანტებს შორის. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ. იმ დღეებს მერე შენ ჩვენი დაბადების დღეები უწოდე. ახალი საქართველოს დაბადების დღეები. მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ეს ახალი საქართველო მარტო მიტინგებზე არ შეიძლება დაიბადოს. ისიც კარგად იცი, რომ საქართველო მხოლოდ დედაქალაქით არ იწყება და არც მთავრდება მხოლოდ დედაქალაქით.

საქართველო ცად აზიდული მთებია, ველებია გაშლილი, მარჩენალი მიწაა, მშრომელი კაცია, მისი დაკოცრილი ხელებია, აკვნებია, „ჩაკრულია“, „მრავალჟამიერია“...

სიჩუმეში ჩაძირული სოფლებიც საქართველოა. წინაპართა მიტოვებული სოფლებიც საქართველოა. გაბზარული ციხეებიც, დანგრეული მონასტრებიც, გუბედაკარული მდინარეც საქართველოა. მთაში დაკრული ირემიც, ვაზის ტირილიც, დედის ლოდინიც. ყველაფერი ეს საქართველოა. კიდევ უთვალავი რაღაცის ჯამია საქართველო.

შენც საქართველო ხარ. მისი ხიხლი სისხლთაგანი და ხორცთაგანი. შენი სოფელიც ამიტომ გიხმობს საშველად, შენც ეგულები პატრონად და ამიტომ მისი ჭიში და ჭილაგი ხარ და ამიტომ. გადამთიელი რომ არ მოეძალოს ამიტომ.

დღეს სოფელს უფრო ხეირდები, ვიდრე იქ, სადაც ახლა ხარ. ისე მაინც რამ ამოგიღო გული ეჭიმს, შენი სოფლის უტკბობას რომ უყურებ.

რა ვუყოთ, რომ სოფელი არ მოგვწონს, არ გვაკმაყოფილებს, რა ვქნათ, რომ იგი ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს. მაინც გაგვემტყუნება, თუ იგი მივატოვეთ ამისთვის. ვინ თუ არა ჩვენ უნდა გავხადოთ იგი ისეთი, როგორიც მოგვეწონება, როგორიც უნდა იყოს.

დღეს ბევრმა იბრუნა პირი სოფლისაკენ. შენ გელოდებიან. ყველა პროფესიის ადამიანი უბდება მას. ნუ დაპატარავდები, ნუ განიძარცვები შენი მოგონებებისაგან.

ისევ დადგა ზაფხული. მკათათვე თაკარა. ისევ მლერიან სოფელში „ოდოიას“, შენ რომ გიყვარდა იმ „ოდოიას“. ისევ ისეთი ლამაზია შენი სოფლის ღამე. ისევ წყდება ცას ვარსკვლავები. რას არ ჩაუთქვამდით ამ მოსხლეტილ ვარსკვლავებს ბავშვობაში. დღეიდან მე შენს დაბრუნებას ჩავუთქვამ. შენსავით წასულთ ყველა ნათიას, რეზოს, გივის, გაბუნგის, ლალის დაბრუნებას ჩავუთქვამ. ჩავუთქვამ და ამ სიტყვებსაც გავიხსენებ. „ჩვენ გავმრავლდებით... და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს ადარ დავიხოცებით, ადარ დავილევით და ადარ გავთავდებით“. შენც გიყვარდა ამ სიტყვების გამეორება.

მარინე ჯონჯუა.

ტაქსი —ნომერი: 09-84

„თუთარჩელას“ გაჩერებასთან ხალხმრავლობაა. „ტაქსისტები“ თვალით ზომავენ „კლიენტებს“. (აქ ძნელია გაარჩიო რომელია სახელმწიფოსი და რომელი კერძო). არავინ შესთავაზა წაყვანა შაოსან, ღარიბად ჩაცმულ ხანდაზმულ ქალს.

ჩამოდგა ტაქსი ნომერით: 09-84. შაოსანი მორიდებით მიადგა სარკმელს: შვილო, ბაზარში ვიყავი, მანეთის მეტი არ დამრჩა. აი, ეს შევიძინე აი, ეს და... მიუთითა მომცრო ჩანთაზე.

—დაბრძანდით. სულაც რომ არ გქონდეთ მაინც მიგიყვანთ შინ... იყო პასუხი.

შაოსანი მოთავსდა მანქანაში. მეც ვთხოვე დამგზავრება, თუმცა არც კი ვიცოდი სათ ბქონდათ გზა...

მძღოლი ფრთხილობს, ზუსტად იცავს მოძრაობის წესებს. ალბათ, პირველი კლასის მძღოლი, ვუიქრობ მე.

მძღოლმა ფული არ აიღო. მაწდილოსანი შეწუხდა.. არა უშავს დედი,—ამბობს იგი, მე ისეთი დროც მქონია, მანეთი მილიონი რომ მეგონა...

მძღოლი ჩემსკენ იხედება. თქვენ საით?

—მე?

—მე არსად, მაგრამ მინდა ყველას გავაგებინო, ერთი შესდგეთ „უბრალო“, მაგრამ ეს ადამიანური შეხვედრა ვპასუხობ.

—შოთა შალვას ძე ჯაბუა,— გამეცინა იგი, —გადავაცილე ორ მოცდაათს. მანქანის საკენთან გავატარე ოცდათოთხმეტი წელი, აქედან მსუბუქ ტაქსზე ოცდაშვიდი.

—თქვენ ახსენეთ, რომ გქონდათ ისეთი დრო, როცა მანეთი მილიონად მიგაჩნდათ.

—დიახ. მაგა მეორე მსოფლიო ომიდან დაჭრილი დაბრუნდა და გარდაიცვალა. დაგაკარგეთ სრულიად ახალგაზრდა დედაც. შვიდი და-ძმა, მათ შორის მე ხუთი წლისა, დავრჩით ობლად. მასაჭმელდნენ სრულიად პატარას. მკვირცხლი ვიყავი ფეხიანელი. ერთმანეთი გავზარდეთ. ყველანი დასაქმებულნი და დოკუმენტებულნი ვართ. ორი ძმა ჩემსავე საწარმოში მუშაობს. მე რადგან ვერ მივიღე უმაღლესი განათლება, მტკიცედ გადავწყვიტე: რა საქმესაც მოგვიდებდი ხელს, მოწონავე ვყო ფილვიუკი... საფუძვლიანად შევისწავლე მანქანა. დავეუფლე მომსახურების წესებს. ხშირად ვიჯექი უფროსი თაობის მძღოლების გვერდით. ვსწავლობდი მათგან ქცევის ნორმებს. მომსახურების კულტურას.

კოლექტივი თბილი შემხვდა. არავის შურდა და შურს ჩემი პირველობა. გარდა პროფესიული კავშირებისა, სხვა პარტიის წევრი არა ვყოფილვარ. დაფასება არ დამკლებია. მომენიჭა იაკობ ტატოვის სახელობის ლაურეატის წოდება. გავლილი მაქვს ორ მილიონზე მეტი კილომეტრი უავარიოდ და „მეტოქეებად“ ერთი თბილისელი და მეორე ქუთაისელი მძღოლი მყავს. ვიყავი რესპუბლიკის გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის კონფერენციის მონაწილე...

ოშვიათია ორ მილიონ კილომეტრზე მეტი გზა რომ გაგიკლიათ უავარიოდ, —ვამბობ მე.

—ამაში არავითარი საიდუმლო არ იმალება. სპიდომეტრმა უნდა იმოძრაოს გამოურთველად რა თქმა უნდა, მოძრაობის დროს. მანქანას არ უნდა მართავდე ნასვამი, დაღლილი. უნდა გაწსაზღვრო მოსალოდნელი საშიშროების მოახლოება, მარტო სიგნალიზაციისადმი უურადღება როდი წყვეტს საქმეს. გამართული უნდა იყოს შენი მანქანა. უნდა გქონდეს შენაგანი ძალების სწრაფი მოხილიზების უნარი და რაც მთავარია, უნდა გახსოვდეს, რომ შენს ხელშია ადამიანის სიცოცხლე...

...ვამჩნევ, და ვხედავ, რომ ჭეიოად მოსიარულეთა დიდმა ნაწილმა არ იცის „გზის წაკითხვა“. მეკი ფიქრობ, რომ ის უნდა ისწავლებოდეს სკოლაში პირველი კლასიდან. ძალიან მაღელვებს არასრულწლოვანთა მიერ მანქანის მართვა...

მძღოლები ბრუნდებიან პარკში. ბრუნდება შოთა ჯაბუაც. მას საკუთარი მანქანა არ ელოდება. არც არასოდეს. მქონია იგი. ფეხით მიუყვება გზას შინისაკენ, ხადაც მეუღლე და ვაჟიშვილი ელოდება...

ზუგდიდის ქუჩებში ფრთხილად მოძრაობს ტაქსი ნომერი 09-84. მძღოლი შოთა ჯაბუაა, შეგიძლიათ გაეცნოთ...

ბ. აბულაძე.

„ოდიშის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მძღოლი დაისაჯა

გაზეთ „ოდიშის“ 29 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ლ. ბაქრაძის წერილი „გამკითხავი არავინაა“ განიხილა კეთილმოწყობის კომბინატის ადმინისტრაციამ და პროფკავშირის კომიტეტმა ავტოპარკის მუშაკთა სხდომაზე. სხდომამ იმსჯელა ავტოპარკის მძღოლის თემურ ჯღარკავას საქციელზე, რომელმაც თავისი „ნამოდვაწარით“ ჩირქი მოსცხო შრომით კოლექტივს. ზიანი 2 აეენა კომბინატის დედაბოლოს.

აღნიშნულის გამო ავტოპარკის მძღოლი თემურ ჯღარკავა ადმინისტრაციის ბრძანებით და შრომითი კოლექტივის თანხმობით ჩამოქვეითებულ იქნა მტვირთავ მუშად 6 თვით, აქვე გაფრთხილებულ იქნა ავტოპარკის მძღოლები და ტექპერსონალი, რათა ნაგავის არადანიშნულების ადგილზე დაყრის შემთხვევებს არ ექნეს ადგილი.

ვ. ჩარგაზავა,

ქ. ზუგდიდის კეთილმოწყობის კომბინატის უფროსი.

პასუხი მწვანეებს!

გაზეთ „ოდიშის“ ექვსი ივლისის ნომერში გამოქვეყნდა მწვანეების ღია წერილი ქალაქის მწვავე ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული კრიტიკული პუბლიკაციის ერთერთი ადრესატ თაგანი ქალაქის კომუნალური განყოფილება გახლავთ. ანბანური ბეშმარიტებაა, რომ ქალაქში შექმნილ ანტისანიტარიაზე და მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა კომუნალურ სამსახურს ეკისრება. მაგრამ კომუნალური განყოფილება დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ვერ შეძლებდა და ვერ შეძლებს რადიკალურ გარდატეხას ცარიელი ხელებით, როგორსაც დღეს ჩვენგან ითხოვთ.

თავს არ შეგაწყენთ იმის გაზმარტებით თუ რა მძიმე მემკვიდრეობა გვერგო ახალ ხელისუფლებას. 70 წლიანი ნაგავის გაწმენდა (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), მოკლე ვადაში ურთულესი საქმეა.

მოკლედ ვუპასუხებ, თუ რა უშლის ხელს თქვენს მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულებას.

არ არის თუნდაც მინიმალური რაოდენობით ნაგავსაყრელი მანქანები და ნაგავკადამტანი ყუთები, ვერც მანქანების უზრუნველყოფა შეგვიძლია საწვავით.

ის საწარმოები, რომლებიც მდინარეში უშვებენ წარმოების ნარჩენებს, ეკონომიკურად დუხჭირ მდგომარეობაში იმყოფებიან უკლებლივ ყველა. მათი აღჭურვა თანამედროვე გამწმენდი ნაგებობით საძნელო საქმეა. არც ამ საწარმოების დახურვა არის საუკეთესო გამოსავალი.

—არც ქალაქს გაუჩნია იმის საშუალება, რომ თავის სახსრებით ააშენოს გამწმენდი ნაგებობები მდინარე ჩხოუშიაზე.

მიუხედავად ამისა ჩვენ ვღებულობთ ყველა ზომას, რომ თავიდან ავიცილოთ უფრო მეტი გაჭუჭყიანება.

მინდა შემხვედრი შეკითხვა დავუსვა მწვანეებს:

ისინი ვინც საყოფაცხოვრებო ნაგავით აჭუჭყიანებენ მდინარე ჩხოუშიას, არც კრემლის აგენტები არიან და არც სუკ-ის, არამედ ჩვენი თანამოქალაქეებია. ნუთუ არ შეგვიძლია ზუგდიდის ეროვნულ მოძრაობას (არ ვითხოვ მწვანეების ძალებით) მოვაწყოთ მორიგეობა მდინარის სანაპიროებზე მისი დაცვის მიზნით.

და მეორე—რამდენადაც კომუნისტურად არ ყღერდეს, მოვაწყოთ შაბათობები მდინარის კალაპოტის გაწმენდის მიზნით მწვანეების ინიციატივით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ სანიტარო-კომუნალური მეურნეობის მთელი კოლექტივი უკლებლივ მხარში ამოგიდგებათ.

სრულიადაც არ მსურს იმის თქმა, რომ ჩვენ ყველაფერში მართლები ვართ, მაგრამ მოდით ყველამ გავიზიაროთ პასუხისმგებლობა და კრიტიკის გარდა ცოტათი მოგვეხმარეთ კიდეც, პროცესის მწვავე ფორმებს ეს გაცილებით სჯობია.

თემურ ცანავა,
საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების გაჭგე.

მადლიერების ლიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 წელზე მეტია მედიცინის დარგს დაუღალავად ემსახურება რენტგენო-ლაბორანტი ნარგიზა ფარცვანია.

იგი ამჟამად ქ. ზუგდიდის საერაიონთაშორისო ტუბდისპანსერის პირველი კატეგორიის რენტგენოლაბორანტია.

ყურადღებიანი, დაკვირვებული, გულთბილი მუშაკი პაციენტთა მადლიერებასა და სიყვარულს იმსახურებს. ამიტომაც მათი ლაბორატორიიდან უკმაყოფილო არავინ გამოდის, განათებული, დამშვიდებული სახით მოდიან, თითქოს რენტგენოლოგთა სიტყვაც მკურნალი

კაბინეტს გამოცდილი რენტგენოლოგი ლეილა კაკულია ხელმძღვანელობს.

სადაც კი ამ ორ სპეციალისტს უმუშავნია, ყველგან სითბო და სიყვარული, მადლიერი პაციენტები დაუტოვებიათ.

უანგარო მუშაკები მართლაც რომ მადლობის ღირსნი არიან.

ახალგაზრდული მხნეობა და მადლიერი პაციენტების კეთილი ღიმილი კვლავაც არ მოკლებოდეს მათ შრომას.

ძ. ტივაძე.

ხსოვნა

შენი დაბადების დღეა

1983 წლის აპრილში მოხვედი სამუშაოდ ჩვენთან. გშვენოდა თავაზიანობა, სიდინჯე. გიყვარდა სიცოცხლე და სილამაზე.. დაუზარელი იყავი საქმეში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში ყურადღებიანი და გულთბილი. სხვები თუ წლობით იმკიდნენ კოლექტივის სიყვარულს. შენ რამდენიმე თვეში შესძელი. გულის სითბოს დაუზოგავი ხარჯვის საფასურად მოიპოვე კოლეგების, მუშაკების კეთილგანწყობა. ალბათ ამიტომაცაა შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ასე ძლიერი და ღრმა.

შენს გვერდით ქო—ნით გამოწვეული ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა.

შარშან, იმ ავადმოსაგონარ დღეს წახვედი ჩვენგან ჯანლონით სავსე. წახვედი ჩვენგან ოცდაცხრა წლისა და დაგრჩა განუხორციელებელი ოცნებები. წელს უნდა აგეღო ინუინრის დიპლომი, წელსვე შენივე ჩანაფიქრის მიხედვით უნდა შეგექმნა ოჯახი, რის შემდეგ იწყებოდა ცხოვრების ახალი საფეხური.

მიუხედავად ახალგაზრდობისა პაატა ოტოს ძე აბლოთიამ დატოვა კვალი წარუშლელი, ულევი სითბო, რაც მისი ხსოვნის უკვდავების გარანტიაა.

შაბათს შენი დაბადების დღეა. ყვავილებით დავფარავთ შენს სამუდამო სამყოფელს...

რაიონის საშენ მასალათა საწარმოს კოლექტივი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

ზუგდიდის №103 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

1991-92 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას არასრული საშუალო სკოლა-დამთავრებულთათვის სამწლიანი სწავლების ვადით შემდეგ პროფესიებში:

1. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების შემკეთებელი ზეინკალი; ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკალი.
2. ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე. (რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ზეინკალ-შემკეთებლისა და ავტომანქანის მძღოლის სამუშაოები)
3. ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტი.
4. ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკალი; ავტომანქანის მძღოლი.

საშუალო სკოლა დამთავრებულთათვის კი ერთწლიანი სწავლების ვადით შემდეგ პროფესიებში.

1. ბოსტნეულისა და ხილ-კენკროვანი ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების ოპერატორი, ჩვენების წარმოების ოპერატორი
2. ელექტროაირშემდუღებელი (ავტომანქანის მართვის უფლებით).
3. არასასურსათო საქონლის გამყიდველი.
4. ჩაის ფაბრიკების მანქანა-დანადგარების შემკეთებელი ზეინკალი.

სასწავლებელში სწავლა უფასოა. გარდა ამისა მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, საერთო საცხოვრებლით და 40-დან 80 მანეთამდე სტიპენდიით.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ჩაითვლება საერთო დაუწყვეტ სტაჟად. ყველა კურსდამთავრებული სასწავლებელში მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ განაწილდება რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე, 2. განათლების მოწმობა (დედანი). 3. დაბადების მოწმობა, (დედანი). 4. ავტობიოგრაფია. 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286 ან 086 უ). 6. 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4). 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა კვირისა.

ჩვენი მისამართია: ზუგდიდის რაიონი, სოფ. ოქტომბერი.

სასწავლებლის დირექცია.

ელექტროდაცვითი სიგნალიზაცია პირადი ქონების დაცვის საუკეთესო საშუალებაა!

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო, რაიონული განყოფილების დაცვის განყოფილება ანხორციელებს როგორც სახელწიფო, ისე მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვას ხანძრისა და ბოროტმოქმედთა ხელყოფისაგან.

ცენტრალურ სამეთვალყურეო პულტზე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ჩართულია მოქალაქეთა ბინები და კერძო საცხოვრებელი სახლები, ასევე შეიძლება ჩართულ იქნას ავტოსადგომები. ხანძრის წარმოქმნის, ან ბოროტმოქმედის შეღწევის შემთხვევაში პულტი იძლევა განგაშს, რაზედაც სწრაფ რეაგირებას ახდენს მილიციის სპეციალური ჯგუფი.

მოქალაქეებს, ვისაც აქვთ, სატელეფონო ნომერი შეუძლიათ მიმართონ დაცვის განყოფილებას, განცხადებით ელექტროდაცვითი სიგნალიზაციის დამონტაჟებაზე. სახლში არ ყოფნის დროს თქვენი ქონების საიმედო დარაჯი პულტი იქნება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ იმ ობიექტებზე, სადაც დამონტაჟებულია ელქსელის დაცვითი სიგნალიზაცია და ჩართულია ცენტრალურ სამეთვალყურეო პულტზე, ხანძრის, ან ქურდობის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ან ცხელ კვალზე იქნა ლიკვიდირებული. დაცვის ქვეშ მიღებული ქონების ქურდობის შემთხვევაში, დაცვის განყოფილება ღებულობს ვალდებულებას მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. ხელშეკრულება დაცვაზე იდება ნებისმიერი ვადით, ამისათვის საჭიროა მიმართოთ განცხადებით დაცვის განყოფილებას.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ დაცვის განყოფილებაში: ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №5, ტელ: 2—29—84, 2—31—07.

შს ზუგდიდის დაცვის განყოფილება.

მეუღლე ეკატერინა ბერიძე, შვილები: ნინო, ბელა, ბაბა, ბიბლინა, ბიბლინა, ბიბლინ